ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცდილება არ ეყო

• •

გ. ონაშვილი—ბრინჯაოს პრიზიორი

მეხიკო, 24 ოქტომბერი (საქ-დესის კორ. ს. სიჩევი). წუთზე ნაკლები დასჭირდა 22 წლის თბილისელს გივი ონაშვილს ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატში მოლანდიელი ეველეენსის დასამარცხებლად. გივიმ ოსტატური სრით ხალიჩაზე დასცა მეტოქე, რომელიც რამდენიმე წუთს გონს ვერც მოვიდა. უჩვეულოდ მშვიდი ქართველი ფალავანი კი (სიმაღლე 190 სმ, წონა 110 კგ) „არენა მეხიკოს" ტრიბუნების ტაშში თავის ადგილზე დაბრუნდა. მას ახალი მრისხანე მეტოქეები ელოდნენ.

ონაშვილის შეტევებს ვერც 30 წლის იაპონელმა, მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა მ. მატცუნაგამ გაუძლო. საბჭოთა ფალავანმა დაამარცხა ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი გ. მაიერიც (გფრ), მაგრამ ბოლომდე არ ეყო სატურნირო გამოცდილება და ნახევარფინალში მეორე გერმანელ ძიუდოისტთან კ. გლანთან დამარცხდა.

ამრიგად, ონაშვილსა და მატცუნაგას ბრინჯაოს მედლები გადაეცათ. ოქროს ჯილდო მძიმე წონაში პირველად დაიმსახურა 22 წლის იაპონელმა სტუდენტმა ს. სუმამ, რომელმაც ფინალში 8 წუთსა და 27 წამში მოუგო გლანს.

ამავე წონაში გამოდიოდა მეორე საბჭოთა ფალავანი ა. ქიბროწაშვილი. სამწუხაროდ, მან წინასწარი შეხვედრების შემდეგ დატოვა ხარბიელი. სენსაციურად დამთავრდა შეხვედრა მსოფლიოს ჩემპიონ, ჰოლანდიელ ვ. რიუსკასა და ნაკლებად ცნობილ ბელგიელ დევანდელეერს შორის. მსოფლიო ჩემპიონმა ფარ-ხმალი დაყარა.

ჩემპიონატის პირველი დღის ნამდვილი გმირი იყო სსრ კავშირის ნაკრების წევრი ქვემძიმე წონაში, 25 წლის სარატოველი ინჟინერი ვ. პოკატაევი, რომელმაც წმინდად დაამარცხა ტექნიკური სამხრეთკორეელი კიმ იუნგ ონი. მაგრამ ამ შეხვედრის ბოლო წუთზე პოკატაევმა მარცხენა ფეხის თითი დაიზიანა. ბრძოლის შემდეგ საბჭოთა მოჭიდავეს მიუახლოვდა იუგოსლაველი კრაინოვიჩი, რომელმაც რამდენიმე ხნის წინ წააგო ტ. კავაბატასთან. ამ იაპონელ სპორტსმენს შემდეგ წრეში უნდა შეხვედროდა პოკატაევი. კრაინოვიჩმა საბჭოთა ათლეტს ასწავლა იაპონელის საყვარელი ილეთი. ეს მეგობრული ჟესტი მით უფრო სასიამოვნო იყო, რომ პოკატაევის გამარჯვების შემთხვევაში კრაინოვიჩი ტურნირს ეთიშებოდა.

ასეც მოხდა: პოკატაევმა გაიმარჯვა, მაგრამ ნახევარფინალში ტრავმის გამო დათმო ბრძოლა ვ. ჰერმანთან (გფრ). მეორე ფინალისტი ქვემძიმე წონაში გახდა იაპონელი კ. სასახარა, რომელმაც დაამარცხა თანამემამულე კავაბატა. ფინალში სასახარამ მოუგო ჰერმანს და პირველად დაისაკუთრა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. ბრინჯაოს მედლები პოკატაევსა და კავაბატას გადაეცათ.

სიონის წყალსაცავზე.

ფოტო მ. თათარიშვილისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 210 (3949)

1969 წ. 26 ოქტომბერი. კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

◆ **მეხიკო,** 25 ოქტომბერი. ძიუდოისტთა აქ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა გუნდის წევრმა ისევ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ეს არის 26 წლის დ. რუდმანი (მოსკოვი), რომელიც ქვესაშუალო წონაში გამოდიოდა. ოქროს დაეპატრონა მისი იაპონელი თანატოლი, ტოკიოელი მასწავლებელი ხ. მინატოია, რომელმაც ფინალში სძლია თანამემამულე უ. კონოს. მსოფლიო ჩემპიონატის დებიუტანტმა რუდმანმა შეჯიბრება კარგად დაიწყო, მაგრამ მერე წააგო წინასწარი ჭიდილი კონოსთან. დამამშვიდებელი ტურნირიდან იგი მაინც გავიდა ნახევარფინალში და იქ ახლანდელ ჩემპიონთან დამარცხდა. ამ შერკინებაში რუდმანი დაშავდა და თუმცა საბჭოთა ნაკრების ექიმმა მ. მინასიანმა მას პირველი დახმარება გაუწია, თავისი საყვარელი ფანდების გამოყენება მოსკოველმა ველარ შეძლო. საშუალო წონაში ოქროსა და ვერცხლის მედლები ასევე იაპონელებმა გაითამაშეს. I ადგილი ერგო 22 წლის ი. სონოდას, II — კ. ხირაოს. ამ წონაში მოასპარეზე მოსკოველი ა. ციუპაჩენკო ბრძოლას ჯერ კიდევ წინასწარ შეჯიბრებაში გამოეთიშა. ჩემპიონატის ბოლო დღეს ჯილდოებისთვის იბრძოლებენ მსუბუქი და აბსოლუტური წონითი კატეგორიების ძიუდოისტები.

◆ **ათენი,** 25 ოქტომბერი. მსოფლიო პირველობაზე მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე ზონალური ტურნირის ბოლოსწინა ტურის წინ გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ 12-12 ქულით დაწინაურდნენ მატულოვიჩი (იუგოსლავია) და ჰორტი (ჩეხოსლოვაკია). მათ ნახევარი ქულით ჩამორჩებიან იანსა (ჩეხოსლოვაკია) და ჰიუბნერი (გფრ). ლიდერთა ხუთეულის „ჩამკეტია" გეორგიუ (რუმინეთი) — 11 ქულა.

◆ **ვენა,** 25 ოქტომბერი. ზონალურ საჭადრაკო ტურნირში 14 ტურის შემდეგ 10 ქულით ლიდერობს ულმანი (გდრ). 8,5-8,5 ქულა აქვთ პორტიშს (უნგრეთი) და ჰეკტს (გფრ), მაგრამ უნგრელმა მოჭადრაკემ 2 გადადებული პარტია უნდა დაამთავროს, დასავლეთგერმანელმა კი ერთი.

◆ **პორტიმანი** (პორტუგალია), 25 ოქტომბერი. მსოფლიო პირველობაზე აქ მიმდინარე ზონალურ ტურნირში 3 ტურის შემდეგ ამდენივე ქულით დაწინაურდა. ჩეხოსლოვაკიელი მოჭადრაკე ფილიპი. III ტურში მან დაამარცხა ბელგიელი შუმახერი. სატურნირო ცხრილში ზედიზედ მეორე ქულა ჩაიწერა იტალიელმა მარიოტიმ, რომელმაც მოუგო გლიგორიჩს (იუგოსლავია).

◆ **სან-სებასტიანი,** 25 ოქტომბერი. მესტენდურეთა მსოფლიო ჩემპიონატის მეორე ნახევარი საბჭოთა სნაიპერთათვის წარმატებით დაიწყო: მრგვალ სტენდზე სროლაში მათ პროგრამის თითქმის ყველა სავარჯიშოში ლიდერობა იგდეს ხელთ. გუნდური სროლის პირველ სერიაში სსრ კავშირის ნაკრებმა 291 ქულა დააგროვა 300-დან და დიდად გაუსწრო პოლონელებსა (286) და შვედებს (282). ვაჟთა პირად შეჯიბრებაში ბრწყინვალე იყო ი. ცურანოვი — 75 ქულა 75-დან! კარგად ისროდა მეორე საბჭოთა მესტენდურე ვ. ცოპიც (73 ქულა, III ადგილი). იუნიორებში სსრ კავშირის წარმომადგენლები ლიდერობენ: ს. ზავიალოვმა 73 თეფში დაამსხვრია, ნ. ბენეშმა — 72. ქალთა პირად ტურნირში I-II ადგილებს იყოფენ ლ. გურვიჩი (სსრ კავშირი) და ნ. ორტისი (მექსიკა) — 72-72 ქულა 75-დან. ე. შებაშოვას (სსრ კავშირი) მესამე შედეგი აქვს — 67.

[illegible] გაზეთი [illegible] [illegible] იყო...

ფეხბურთი 69

ოთხი მაძიებელი

„ა" კლასის II ჯგუფის 87 გუნდიდან, რომლებმაც ჯერ კიდევ გაზაფხულზე დაიწყეს უმაღლეს ლიგაში გადასვლისთვის ბრძოლა, ახლა მხოლოდ ოთხი დარჩა. საბჭოთა ფეხბურთის პირველი ეშელონის საგზურის მოპოვების შანსს ოთხ ქვეჯგუფში გამარჯვებული კოლექტივები — ვილნიუსის „ჟალგირისი", დნეპროპეტროვსკის „დნეპრი", ორჯონიკიძის „სპარტაკი" და ხაბაროვსკის ასკ ინარჩუნებენ.

წინ ამ ოთხეულის დასკვნითი ტურნირია, რომელიც I ჯგუფის ერთადერთ საგზურს იძლევა. ეს შეჯიბრება 31 ოქტომბერს აიღებს სტარტს სიმფეროპოლში. პირველ ტურში ერთმანეთს ხვდებიან ხაბაროვსკელები და ორჯონიკიძელები, ვილნიუსელები და დნეპროპეტროვსკელები.

დანარჩენი ორი ტურის თარიღები ასეთია: 3 ნოემბერი— „დნეპრი" — „სპარტაკი" და ასკ — „ჟალგირისი", 6 ნოემბერი — „სპარტაკი" — „ჟალგირისი" და „დნეპრი" — ასკ.

ფინალისტები გამოვლინდნენ

ფხენიანი, 24 ოქტომბერი. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები კვირას „ოლიმპიური იმედების" საერთაშორისო ტურნირის ოქროს მედლებს გაითამაშებენ.

ორივე გუნდმა წარმატებით განვლო წინასწარი თამაშები. მაგალითად, საბჭოთა ჭაბუკებმა 7 ქულა მოაგროვეს რვიდან: დაამარცხეს გდრ-ისა (1:0) და კუბის (1:0) გუნდები, აგრეთვე, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის II ნაკრები (2:1) და ფრედ დაამთავრეს შეხვედრა ბულგარელებთან (1:1).

ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში

✦ აიგო ესტონეთში

ტალინის სპორტული გემთმშენებლობის ექსპერიმენტულ ნავსაშენში დამთავრდა სსრ კავშირში პირველი საერთაშორისო კლასის შვერტბოტის („სკ") აგება. ახალი იახტა თითქოს გარდამავალი კლასის ნავია ჭაბუკთა „კადეტიდან" ოლიმპიურ „ფინზე". იგი გათვალისწინებულია ერთი მრბოლელისთვის, სიგრძით 4 მეტრია და აქვს ერთი აფრა-გროტი (8,5 კვ. მ).

პირველი ნავი, რომელიც ახალგაზრდა ოსტატის ა. სიარაკის ბრიგადამ აგო, გადაეცემა ტალინის აფროსანთა კლუბს „კალევს".

✦ მეცნიერებისა და სპორტის კავშირი

უკრაინის დედაქალაქის ერთ-ერთ ახალგაზრდა რაიონში — აკადემიის ქალაქში — აიგო სპორტის სასახლე. იგი კარგი საჩუქარია ქალაქის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ფიზკულტურელთა 11-ათასიანი რაზმისთვის, რომელიც სპორტკლუბ „ნაუკას" სახელით გამოდის.

იმ სახეობებისთვის, რომლებსაც შეჯიბრებისა და წვრთნისთვის დიდი ადგილი სჭირდება, განკუთვნილია სასახლის მთავარი დარბაზი. შენობას აქვს 25-მეტრიანი საცურაო აუზი და წყალში სახტომი კოშკი.

ახალ სასახლეში უკვე დაიწყო უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ფიზკულტურელთა სპარტაკიადა.

(საქდესი).

ქართველ მოკრივეთა წარმატება

უკრაინის ქალაქ როვნოში გაიმართა ლეგენდარული მზვერავის, საბჭოთა კავშირის გმირის ნ. კუზნეცოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი ასპარეზობა კრივში.

ამ ტრადიციულ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის 38 ქალაქის უძლიერესი მოკრივეები. დიდ წარმატებას მიაღწიეს ქართველმა სპორტსმენებმა: ა. ნიკოლაძემ და ვ. სულაკაძემ ოქროს მედლები დაისაკუთრეს.

კ. ზაკალიუკი.

როვნო.

• • •

სურათზე: მემორიალის საპატიო სტუმარი, წარსულში სახელგანთქმული მოკრივე, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. კოროლიოვი ჯილდოს გადასცემს ა. ნიკოლაძეს, რომელმაც მძიმე წონით კატეგორიაში გაიმარჯვა. თავის დროზე სწორედ ამ წონაში გამოდიოდა ნ. კოროლიოვიც.

ფოტო ავტორისა.

მეგობრების შეხვედრა თბილისში

ორშაბათს საქართველოს უძლიერეს შუბის მტყორცნელებს „ფიზკულტურის გაკვეთილი“ ჰქონდათ. მასწავლებლის როლი 30 წლის ესტონელ სპორტსმენს მარტ პაამას დაეკისრა. მან 15 წელი შესწირა ამ სახეობას და თავისას მიაღწია. პაამა ორჯერ იყო ქვეყნის ჩემპიონი — 1960 და 1967 წლებში. ახლა, მოსკოვის, ტარტუსა და თბილისის უნივერსიტეტების მძლეოსანთა მატჩში, მარტმა შუბი 74,54 მეტრზე გაგზავნა. განსაკუთრებით აღსანიშნავია პაამას სიმშვიდე, ჩვენი შუბის მტყორცნელები კი ხშირად ვერ იმორჩილებენ ნერვებს.

სამაგიეროდ, მ. ოყროშიძე უჩვეულოდ მშვიდი იყო. იგი დინჯად შევიდა სექტორში, ბირთვი მოსინჯა და აუღელვებლად გაგზავნა შორ გზაზე — 18,24 მეტრზე. ეს მატჩების რეკორდია, რისთვისაც მერაბმა ჯილდოდ ესტონური თოჯინა მიიღო.

17 წელიწადს იარსება ჩვენი უნივერსიტეტის რეკორდმა 200 მეტრზე რბენაში. 1952 წელს რ. ტრაპაიძემ ეს მანძილი ზუსტად 22 წამში გაირბინა. რეკორდზე ბევრმა მიიტანა იერიში, მაგრამ მიზანს მხოლოდ 20 წლის მორბენალმა თ. მდინარაძემ მიაღწია — 21,9. თუმცა გამარჯვება ამ სახეობაში ესტონელ კ. იურკატამს ხვდა — 21,4. სამაგიეროდ, მდინარაძემ 100 მეტრზე რბენაში აიღო რევანში — 10,6. თბილისელმა სტუდენტმა ამ შედეგით მეგობრობის მატჩი მოიგო. საინტერესოა, რომ მანამდე მდინარაძემ ერთი თვის მანძილზე შვიდჯერ აიღო სტარტი და შვიდივეჯერ ერთნაირი შედეგი აჩვენა — 10,7.

დავუბრუნდეთ იურკატამს. ახლახან ნალჩიკში მან მოიგო სსრ კავშირის თასი — „იზვესტიის“ თასი 110 მეტრზე თარჯრბენში (14,0) და საერთოდ აპირებდა სარბენი ბილიკის დატოვებას, ვინაიდან 30 წელი შეუსრულდა. მაგრამ მეგობრებმა სთხოვეს ამ მატჩში მიეღო მონაწილეობა. იურკატამმა უარი არ თქვა და გაიმარჯვა (14,5).

მოსკოველმა ვ. დიომკინმა ჭოკით ხტომაში 440 სმ აიღო. იგი ერთხელ გადახტა და ჩემპიონი გახდა. დიომკინის თანაგუნდელმა, მომავალმა ქიმიკოსმა ვ. ჩისტიაკოვმა ყველას აჯობა სამხტომში — 15,50 მ. სსრ კავშირის რეკორდსმენმა ბადროს ტყორცნაში გ. გუდაშვილმა მეტოქეებს ყოველგვარი იმედი გადაუწურა — 56,66 მ.

ტარტუელ ა. ნურმეკივის დიდი წინააღმდეგობა შეხვდა კილომეტრნახევრიან დისტანციაზე. მეტოქეები კვალში მისდევდნენ, მაგრამ გამოცდილმა სპორტსმენმა (იგი ქვეყნის ნაკრების წევრი იყო) შეძლო მათი ყურადღების მოდუნება და დაწინაურდა — 3.59,6. მისმა თანაგუნდელმა ტ. მატსინმა მოიგო 400 მეტრზე რბენა — 49,2.

ლამაზი, მოხდენილი ესტონელი ჰელე მიოლდერი 155 სმ სიმაღლეზე გადებულ თამასას გადაევლო. მაგრამ ქალთა შეჯიბრების გმირად აღიარეს თბილისელი სტუდენტი, სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი გალინა კონონენკო. მან დამაჯერებლად გაიმარჯვა როგორც 100 (12,4), ისე 200 (25,8) მეტრზე რბენაში და თავის მეგობრებს დაეხმარა ესტაფეტაშიც (49,3).

ოლიმპიური გუნდის წევრმა ლ. იევლევამ ყველას აჯობა სიგრძეზე ხტომაში — 590 სმ. ბირთვის მკვრელ ქალებში პირველი იყო რ. კივივარე (ტარტუ) — 12,22 მ.

მსაჯებმა უძლიერეს უროს მტყორცნელად აღიარეს [illegible] სტუდენტი ი. ფხაკაძე — 54,38 მ.

პირველნი იყვნენ ვ. [illegible] (195 სმ) და დალი საბაურიც (შუბი — 44,30, ბადრო — 38,15). 100 მეტრზე თარჯრბენში რუსუდან ჩუბინიძემ 15,9 აჩვენა. 729 სმ სიგრძეზე გადახტა თბილისელი ვ. ჩუკანოვი.

ტარტუს ოთხეულმა გაიმარჯვა ესტაფეტაში (4×100— 42,4), ამ გუნდის წევრმა ა. მაცინმა კი 800 მეტრზე გამარჯვებით (1.54,8) განამტკიცა წარმატება.

მატჩში გამარჯვება ტარტუელ სტუდენტებს ხვდათ — 199 ქულა. თბილისელებს 194 ქულა აქვთ, მოსკოველებს — 124. აქვე უნდა შევნიშნოთ: საშუალო მანძილებზე თუნდაც ერთი კარგი მორბენალი რომ ჰყოლოდათ, გამარჯვება უთუოდ ჩვენებს დარჩებოდათ.

ვ. ბუკინი.

სად არის ლოგიკა?

ჭიდაობის ახალი წესების გარშემო

წლეულს თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობის წესებში განუწყვეტელი ცვლილებები ხდებოდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მთელს საბჭოთა კავშირში შეჯიბრებები ტარდება ერთდროულად სხვადასხვა წესისა და მათი ჰიბრიდების მიხედვით, რაც, ბუნებრივია, არევ-დარევას იწვევს სასწავლო-საწვრთნელ პროცესში, სპორტსმენებსა და მწვრთნელებს აბნევს, გამუდმებულ კაზუსებს ქმნის მსაჯთა კოლეგიების წინაშე.

საერთოდ, წესებში ცვლილება კანონზომიერი პროცესია, თუ იგი დაკავშირებულია ტექნიკისა და ტაქტიკის განვითარებასთან, სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის სრულყოფასთან. ამ შემთხვევაში ცვლილება მიმართული უნდა იყოს აქტიური ბრძოლის სტიმულირებისკენ, სპორტულ-ტექნიკური მომზადების დონის ამაღლებისკენ, მაღალი კლასის სპორტსმენთა აღზრდისა და მსოფლიოს სიმაღლეთა დაპყრობისთვის ბრძოლისკენ.

რით იყო ცუდი ძველი წესები?

1. ამ წესების თანახმად, ხშირად პირველი პრიზიორი ვლინდებოდა მეორე და მესამე პრიზიორებთან შეხვედრის გარეშე. ეს უკანასკნელნი, თუ ფინალამდე 6 საჯარიმო ქულას მიიღებდნენ, კარგავდნენ პირველ პრიზიორთან შეხვედრის უფლებას. მას კი, რაც არც ისე იშვიათად ხდებოდა, ამ წრეში დასვენებაც შეეძლო.

2. მოჭიდავე, რომელიც ქულებით აგებდა, ზოგჯერ წინასწარი შეთანხმების საფუძველზე წმინდა მოგებას აძლევდა მეტოქეს, ეს კი საპრიზო ადგილების განაწილებაზე ახდენდა გავლენას.

ამგვარად, არა მხოლოდ საპრიზო ადგილების, არამედ გამარჯვებულთა განსაზღვრის დროსაც ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობდა წინასწარი კენჭისყრა. ზოგჯერ კი ამას ფარული მოლაპარაკებაც ემატებოდა.

გავიხსენოთ, მაინც რატომ მივიღეთ ეს, პირდაპირ უნდა ვთქვათ, უვარგისი წესები?

საერთაშორისო წესები იყო და მივიღეთ (ალბათ ამ 8 წლის წინ). გვსურდა ჩვენი მოჭიდავეები მიჩვეოდნენ ამ წესებით ბრძოლას.

მაგრამ მანამდე საკუთარი წესები გვქონდა, რაც საშუალებას გვაძლევდა ყველა ზემოხსენებული ამოცანა გადაგვეჭრა. მაშინ მსოფლიო პირველობებში ოქროს მედლების უმეტესობა ჩვენი იყო და ჭიდაობაში პირველი სიტყვა ჩვენ გვეკუთვნოდა. ჩვენი ძველი წესებით სამი ფინალისტი აუცილებლად ხვდებოდა ერთმანეთს იმ შემთხვევაშიც კი, თუ შეჯიბრების პერიოდში 7 ან მეტ საჯარიმო ქულას მიიღებდა. მათ აკლდებოდათ ქულები, რომლებიც ფინალისტებთან არ ჰქონდათ მიღებული. ფინალში ადგილები თანაბარი შედეგების ნიშნით ნაწილდებოდა და მხოლოდ ამ მაჩვენებლების თანაბრობის შემთხვევაში ითვალისწინებდნენ ტურნირის პროცესში მიღებულ ყველა ქულას.

ამგვარად, ახლახან შეცვლილი წესების ორივე მთავარი დეფექტი უცხო იყო მასზე ადრინდელისთვის.

სულ ახალი წესები მიზნად ისახავს ამ წინათ არარსებული ნაკლის აღმოფხვრას. მაგრამ სინამდვილეში მას სპორტულ ჭიდაობაში არ შეუტანია ის გამაცოცხლებელი ნაკადი ჭიდაობის აქტივიზების თვალსაზრისით, რისთვისაც მოწოდებული იყო.

ამ წესების მიხედვით, პირველი წრის ფრედ დამთავრების შემთხვევაში მეტოქეებს ეძლევათ დამატებითი 3 წუთი და, თუ არც ამან გამოიღო შედეგი, გამარჯვების ბედს კენჭისყრა წყვეტს.

გავიხსენოთ საკავშირო პროფსაბჭოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. იქ პირველ წრეში 3 პერიოდის შემდეგ 12 შეხვედრა დამთავრდა ფრედ და დამატებითმა პერიოდმა მხოლოდ ერთხელ გამოავლინა გამარჯვებული.

როგორც ჩანს, ეს დამატებითი დრო ვერ უძლებს პრაქტიკულ გამოცდას.

ორიოდე სიტყვა კენჭისყრის შესახებ. ნუთუ არ შეიძლება მოიძებნოს უფრო ობიექტური ხერხი გამარჯვებულის გამოსავლენად?

თურმე, შეიძლება. ეს ხერხი გათვალისწინებულია იმავე წესებში, ოღონდ მხოლოდ ფინალურ შეჯიბრებებში გამარჯვებულის გამოვლენისთვის. ფინალში გამარჯვების საკითხს აქტიური ბრძოლა წყვეტს. რაღა საჭიროა ერთ წესებში ორი სხვადასხვა ხერხი შეხვედრის ფრედ დამთავრების შემთხვევაში გამარჯვებულის დადგენისთვის? გაუგებარია.

ვარაუდობდნენ, რომ ახალი წესები ხელს შეუწყობდა აქტიურ ბრძოლას. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ეს შეცდომაა. ძველი წესებით ასპარეზობის დროს ორივე მეტოქე გამარჯვებას ცდილობდა, რადგან ფრე არც ერთს არ აძლევდა ხელს. ახალი წესები წინასწარ განსაზღვრავს, ვინ უნდა იბრძოდეს გამარჯვებისთვის და ვის ფრეც ჰყოფნის. ახალი წესებით ეს შედეგი მუდამ ხელსაყრელია რომელიმე მოჭიდავისთვის. და თუ ეს უკანასკნელი კარგად გაწაფულია ჭიდაობაში, იგი მეტოქეს აქტიური ბრძოლის ყველა საშუალებას უსპობს, თვითონ იშველიებს ცრუ აქტიურობას, რასაც საერთაშორისო წესები ნამდვილი ბრძოლის უფლებებს ანიჭებს.

ყველასთვის ცნობილია, რა უსამართლობას იწვევს ადგილების განაწილების დროს ის ამბავი, რომ შეჯიბრების მონაწილე გადამწყვეტი წრის წინ თავისუფალი აღმოჩნდება ხოლმე. ახალი წესებით, ასეთი „თავისუფალი“ მონაწილე ერთდროულად ორიც შეიძლება იყოს.

ცხადზე ცხადია, რომ მეტოქეთა ნამდვილი ძალის დასადგენად საჭიროა ერთმა მოჭიდავემ იმდენივე შეხვედრა ჩაატაროს, რამდენსაც მეორე ატარებს.

ახალი წესებით, მოჭიდავემ, რომელიც კენჭისყრის ძალით დამარცხებულთა ჯგუფში ხვდება, 2-3 შეხვედრით მეტი უნდა ჩაატაროს, რათა პირველი ადგილისთვის ბრძოლაში შეხვდეს თავის უფრო იღბლიან მეტოქეს.

ამ წესებით ერთ კაცს ზოგჯერ ორ-ორჯერ უხდება იმ მეტოქეებთან შეხვედრა, რომლებიც ერთხელ უკვე დაამარცხა.

ამას გარდა, ახალ წესებს ბევრი სხვა ნაკლიც აქვს, მაგალითად, ერთ-ერთი მეტოქის წინასწარი უპირატესობის განსაზღვრაში (პლუსი, რომლის ძალითაც მოჭიდავეს შეხვედრის ფრედ დამთავრების შემთხვევაში თავის ჯგუფში დარჩენის უფლება ეძლევა).

აი, ერთ-ერთი მაგალითი: მავანმა მოჭიდავემ პირველი შეხვედრის პირველ პერიოდში მიიღო ეგრეთ წოდებული ავტომატური გაფრთხილება (შეფასებული ილეთები არ ყოფილა). შემდეგ მან ორ ქულად შეფასებული ილეთი შეასრულა. ესე იგი, მას აქვს ერთი ქულა მეტოქის ორმხრივი გაფრთხილებისთვის და კიდევ 2 სხვა ქულაც. სულ 3 ქულა. მეორე მოჭიდავეს პირველ ბრძოლაში 1 ტექნიკური ქულა ჰქონდა და 1 ქულაც თავისი მეტოქის გაფრთხილებისთვის მიიღო. სულ 2 ქულა.

ეს ორი მოჭიდავე ხვდება ერთმანეთს. რომელს დაუწერთ პლუსს? თითქოს პირველს, მაგრამ არა. ამ წესებით ორმხრივი გაფრთხილება ქულად არ ითვლება. რჩება 2 ტექნიკური ქულა ორის წინააღმდეგ, რომელთაგან ერთი გაფრთხილებისთვისაა მიღებული. მაგრამ პირველმა მოჭიდავემ ხომ თვითონ მიიღო გაფრთხილება, ესე იგი, დაისაჯა. დიახ, მაგრამ ორმხრივი გაფრთხილება ხომ არ ითვლება? ქულად არ ითვლება, სასჯელად ითვლება. ასეთია წესების ლოგიკა.

ამ მიზეზით ხშირია შეცდომები სამდივნოში. მაგალითად, დონის როსტოვში, სადაც ჩატარდა საკავშირო პროფსაბჭოს პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში, ღუდუშაურმა იაკოვლევთან შეხვედრა პლუსით დაიწყო. ესე იგი, მას ფრეც ჰყოფნიდა. მაგრამ, როცა შეხვედრა დამთავრდა, გამოირკვა, რომ მდივანს შეცდომა მოსვლოდა. ღუდუშაურს მეოთხე ადგილი ხვდა, რადგან ფინალში ბრძოლის უფლება დაკარგა. ასეთი მაგალითების ჩამოთვლა კიდევ შეიძლებოდა.

ახალი წესებით, ისეთი „წვრილმანი“, როგორიცაა მეტოქის ორივე ბეჭზე დაწვენა, რაც მუდამ წმინდა გამარჯვებად ითვლებოდა, უტოლდება ნებისმიერ სახიფათო მდგომარეობას, მაგალითად, ხალიჩაზე გულაღმა იდაყვით დაბჯენას, ესე იგი, ორ ქულად ფასდება.

უკვე ბევრჯერ დაისვა ბრძოლის აქტივიზაციის საკითხი. სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა ა. კიკნაძის წერილები „სოვეტსკი სპორტში“. იგი წინადადებას იძლეოდა, წესებიდან ამოეღოთ ფრე. ახალმა წესებმა ეს კენჭისყრის მეშვეობით გააკეთა. ერთ-ერთ ძველ წესებში (მოქმედებდა 12 წლის წინ) მართლაც არ იყო ფრე, მაგრამ მსაჯობა ფარული გახლდათ და ხშირად სუბიექტურობასთან გვქონდა საქმე. ახლა, ღია მსაჯობის დროს, აქტიურობის, უფრო ზუსტად, პასიურობის დადგენა გაცილებით უფრო იოლია. ამისთვის საჭიროა მსაჯს დავავალოთ ხელის აღმართვით აღნიშნოს ისეთი მომენტები, როგორიცაა:

1. ხალიჩიდან გასვლა მოვლების დროს; 2. ხალიჩაზე დაგვიანება ერთიდან ორ წუთამდე; 3. არბიტრის ნებისმიერი შენიშვნა; 4. ხალიჩიდან გახტომა ჩოქბჯენში გადაყვანის მომენტში; 5. ხალიჩიდან გასვლა მეტოქის იერიშის საფრთხის მომენტში; 6. ხალიჩის გარეთ გადაგდება; 7. სიმულაციის ცდა; 8. დროის გაყვანა დახვევების მიზნით; 9. ხელის დაჭერა ორივე ხელით, მკერდზე იდაყვისა და თავის დაბჯენა, ყელში წინამხრის მიბჯენა; 10. თავის დარტყმა; 11. აშკარად გაგდება ხალიჩიდან; 12. თუ მოჭიდავეს არ სურს ჩოქბჯენიდან დგომში გადასვლა, როცა მეტოქე ხელს არ უშლის; 13. ხერხები, რომლებიც ქულით ვერ შეფასდება ფიქსაციის უქონლობის გამო; 14. მსაჯებთან კამათი; 15. მეტოქესთან საუბარი და სხვ.

თუ მივიღებთ, რომ სამ პუნქტში უპირატესობა ფასდება, როგორც, ვთქვათ, 0,5 ქულა, მაშინ აქტიურობის მიხედვით გამარჯვება არც ისე სუბიექტური იქნება.

ამ შემთხვევაში გამარჯვების შეფასება შეიძლება ასეთი იყოს: გამარჯვებულს — 1,5 საჯარიმო ქულა, დამარცხებულს — 2,5. ყოველ შემთხვევაში, აშკარაა, რომ გამარჯვების ბედის ასე გადაწყვეტა გაცილებით უფრო სამართლიანია, ვიდრე კენჭისყრით.

საერთაშორისო წესების მიხედვით, გაფრთხილებისთვის აუცილებელია მსაჯთა მთელი სამეულის ერთსულოვანი გადაწყვეტილება. „ვეტოს“ ეს უფლება შესაძლებელი და მისაღებია საერთაშორისო მოსაზრებებით. მაგრამ ჩვენში იგი მთელ ბრიგადას ერთ არაობიექტურ ან ნაკლებად კვალიფიცირებულ მსაჯს უმორჩილებს.

საბოლოოდ უნდა გამოვიტანოთ დასკვნა: 1. ჩვენ გავწირეთ შედარებით უკეთესი წესები, რათა მთლიანად მიგვეღო საერთაშორისო წესები; 2. ვიზარალეთ რა ამით ბრძოლის აქტიურობასა და სანახაობრივ მიმზიდველობაში, ვცდილობთ რაღაც გავაუმჯობესოთ და ახლა გაცილებით უფრო ვშორდებით საერთაშორისო წესებს, ვიდრე ადრე (გამარჯვებულის კენჭისყრით გამოვლენა, ბრძოლის გამეორება, გამარჯვების საკითხის გადაწყვეტა აქტიურობის მიხედვით, დამატებითი პერიოდები, შეჯიბრების ახალი სისტემით ჩატარება — ქვეჯგუფებად დაყოფა და სხვ.); 3. ამ გზით მიღებული ჰიბრიდი შეიცავს საერთაშორისო წესების ყველა ნაკლოვან პუნქტს (ზურგზე გდების მნიშვნელობის შემცირება, მსაჯთა სამეულის „ვეტოს“ უფლება, ჩემპიონობის მეორე და მესამე პრიზიორებთან შეხვედრის გარეშე მოპოვების შესაძლებლობა), ბრძოლის აქტიურობისა და სანახაობრივი მიმზიდველობის პრობლემების გადაჭრის ცდას (იხ. მე-2 პუნქტი), რაც ადრე გაცილებით უკეთ იყო გადაწყვეტილი.

იბადება კითხვა: იქნებ მომწიფდა აუცილებლობა, რომ ყველა ამ საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღონ სპეციალისტებმა, იმ რესპუბლიკებისა და ოლქების წარმომადგენლებმა, სადაც ჭიდაობა ფართოდაა განვითარებული?

ი. ალიხანოვი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი,
დოცენტი.

ველოტრეკის ნორჩი სტუმრები

თბილისის ველოტრეკი პირველად მასპინძლობდა ასეთ საპატიო სტუმრებს — ნორჩ სპორტსმენებს. ექვსი წლის ბავშვები ჭეშმარიტად ოლიმპიურ დონეზე — შთაგონებითა და ვაჟკაცურად ასპარეზობდნენ. ნ. შჩერბაკოვს (71-ე სკოლა) 50 მეტოქე ჰყავდა, მაგრამ მან ყველა ჩამოიტოვა სამთვლიანი ველოსიპედით. ყველაზე ზუსტი სნაიპერები აღმოჩნდნენ კიროვის რაიონის ნორჩები ე. არუთინოვი და ა. ბახჩიანი (გოგონათა შორის).

30 მეტრი ყველაზე სწრაფად გაირბინა ლ. შენგელიამ (39-ე სკოლა) — 5,6 წამი. მან სამართლიანად დაისაკუთრა ჩემპიონის სახელი. გოგონებში პირველი იყო ე. მათევოსიანი (6,4) 144-ე სკოლიდან.

სიგრძეზე ხტომაში გაიმარჯვა ა. ორლოვმა (პირველი მაისის რაიონი) — 273 სმ. გოგონებში პირველი იყო ი. ჩიგვინაძე (147-ე სკოლა) — 270 სმ.

სპარტაკიადა „სიჭაბუკე“ წლეულს მეორედ ჩატარდა.

ვ. ბუკია.

• • •

სურათებზე თქვენ ხედავთ ველოტრეკზე ნორჩების სპორტული ზეიმის ამსახველ მომენტებს. მარცხენა ფოტოზე აღბეჭდილი არიან გოგონები ბურთის ტყორცნაში შეჯიბრების დროს, შუა სურათი კი მოგვითხრობს სამთვლიანი ველოსიპედებით ასპარეზობაზე. მარჯვენა სურათზე სწორედ ამ ტურნირში გამარჯვებული ნ. შჩერბაკოვია აღბეჭდილი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეაპოლი — კალათბურთელთა მასპინძელი

ახლახან სამხრეთ იტალიის ორ ქალაქში — ნეაპოლსა და კაზერტაში ჩატარდა ევროპის კალათბურთელ ვაჟთა ჩემპიონატი. საბჭოთა ჟურნალისტების ჯგუფის შემადგენლობაში იქ იყო საქდესის კორესპონდენტი ჰ. ხაჩკოვანიანი. მან ჩვენი გაზეთისთვის დაწერა წერილი ამ შეჯიბრების შესახებ, რომელსაც დღეს გთავაზობთ.

მოხდა ისე, რომ ევროპის კალათბურთელთა მატჩები მე მხოლოდ ჩემპიონატის მეოთხე დღეს ვნახე, როცა იტალიაში ჩავედი და, როგორც იტყვიან, გემიდან პირდაპირ ბალზე ამოვჩნდი. პირველი ნაცნობი, რომელსაც კაზერტის სპორტის სასახლეში მოვკარი თვალი, იყო გ. მაჭავარიანი, თბილისის ტელევიზიის მთავარი რედაქტორი. მან რამდენიმე სიტყვით ამიხსნა მდგომარეობა. მალე ერთად ვუყურებდით სსრ კავშირ — ბულგარეთის მატჩს, რომელიც საბჭოთა კალათბურთელთა გამარჯვებით დამთავრდა. გუნდები ჯერ კიდევ მოედანზე იყვნენ, როცა საბჭოთა მწვრთნელებმა და ჟურნალისტებმა ავტობუსებს მივაშურეთ, რათა ნეაპოლში დროით ჩავსულიყავით. იქ ერთმანეთს ხვდებოდნენ ფავორიტები — ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის გუნდები.

საბჭოთა ტურისტების დიდ ჯგუფში კიდევ ორი თბილისელი შევნიშნე: სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. ინწკირველი და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ვ. ჯაფარიძე. ისინი ინტერესით აკვირდებოდნენ იტალიის ნაკრების თამაშს, ბლოკნოტში რაღაცას იწერდნენ.

— წერილისთვის აგროვებთ მასალას? — დავინტერესდი მე.

—არა,—მიპასუხა ინწკირველმა. —საკავშირო კომიტეტის კალათბურთის განყოფილებამ იტალიის ნაკრების მატჩების მიმოხილვა მთხოვა.

— მერე, როგორ არის საქმე?

— ბოლოს იტალიელები მეხიკოში ვნახე, ოლიმპიადაზე. მას შემდეგ გუნდში დიდი ცვლილება მომხდარა. ახალგაზრდობა ცდილობს, მაგრამ ჯერ ვეტერანთა ოსტატობამდე ვერ ადის.

ჩვენი ტურისტული ჯგუფი მარტო შეჯიბრებებს კი არ ესწრებოდა, მუზეუმების ხშირი სტუმარიც იყო. ვათვალიერებდით ნეაპოლისა და რომის ისტორიულ ადგილებს, ვნახეთ სახელგანთქმული ხელოვნების მუზეუმი ვატიკანში. ერთ თავისუფალ დღეს ავტობუსით ვეწვიეთ საკურორტო ქალაქ სორენტოს, მერე კი გემით გავემგზავრეთ კუნძულ კაპრიზე. ეს ლამაზი, კლდიანი კუნძული ნეაპოლიდან 6 კილომეტრითაა დაცილებული. აქ მაქსიმ გორკისთან შესახვედრად ორჯერ ჩამოვიდა ლენინი — 1908 და 1910 წლებში. შემდეგ, რომში, საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებმა მიამბეს, რომ კაპრის მუნიციპალიტეტს განზრახული აქვს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ობელისკი აგოს. პროექტი შეასრულა ცნობილმა იტალიელმა სკულპტორმა ჯ. მანცუმ, რომელსაც მინიჭებული აქვს საერთაშორისო ლენინური პრემია „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისთვის“. ობელისკი საზეიმოდ გაიხსნება 1970 წლის აპრილში.

მკითხველებმა, რა თქმა უნდა, იციან, როგორ გამოდიოდნენ იტალიაში ევროპის ათგზის ჩემპიონები — საბჭოთა კალათბურთელები. გიამბობთ ყველაზე ძნელ მატჩზე — ფინალურ შეხვედრაზე იუგოსლავიის ნაკრებთან.

ამ გადამწყვეტ ბრძოლაში მე მოთამაშეთა სკამზე მოვთავსდი მიშიკო ქორქიას გვერდით, რომელიც უკვე კოსტუმში იყო გამოწყობილი. იგი ნეაპოლში ჩემპიონატის გახსნის წინადღით ჩამოვიდა—ცუდმა ამინდმა მისი თვითმფრინავი „დაატყვევა“ და, ბოლოს, მიშიკო იძულებული იყო მაყურებლის როლს დასჯერებოდა.

მე მისი მეზობლობით ვისარგებლე და ვკითხე:

— რა უფრო ადვილია, თამაში თუ მატჩის ყურება?

— რასაკვირველია, თამაში, — მიპასუხა ქორქიამ. — ნაკლებად განიცდი.

განცდები კი ამ დასკვნითს საღამოს არ დაგვკლებია. მოთამაშეები, რომლებიც ჩვენს მერხზე ისხდნენ, ხან სიხარულით შეჰყვირებდნენ, თუ მათი ამხანაგებიდან რომელიმე ზუსტად კალათში ტყორცნიდა, ხან კი დაძაბული გაირინდებოდნენ, როცა ჩვენს კალათს იუგოსლაველები უტევდნენ.

გენახათ ერთი, როგორ გაფითრდა საბჭოთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ალექსანდრე გომელსკი, როცა იუგოსლაველმა სპორტსმენებმა უდიდესი დაძაბულობის ფასად მეორე ოცწუთიანში მინიმალურად შეამცირეს ქულებში სხვაობა — 59:60. მაგრამ ჩვენმა კალათბურთელებმა ისევ შეძლეს დაწინაურება და გაიმარჯვეს—81:72.

შეჯიბრების დღეებში გომელსკიმ ჩვენს მწვრთნელებსა და ჟურნალისტებს სთხოვა, მოთამაშეებს ნუ გააკარებითო.

— მატჩები ძალიან ძნელია, ბიჭები უაღრესად დაძაბული არიან და არ ღირს მათი ზედმეტად აღელვება.

რომიდან მოსკოვისკენ ერთად მოვფრინავდით „ილ-62“-ით. ახლა ევროპის ათგზის ჩემპიონთა ხელმძღვანელი უკვე მზად იყო ყველა შეკითხვაზე გაეცა პასუხი. მე გომელსკის დიდი გამარჯვება მივულოცე და ვთხოვე შეეჯამებინა ჩემპიონატი, შეეფასებინა თავისი აღსაზრდელების გამოსვლები, გაეზიარებინა მომავლის გეგმები.

— იტალიის ჩემპიონატი პირველი ოფიციალური შეჯიბრება იყო 1972 წლის ოლიმპიადის გზაზე. მან გვიჩვენა ძალთა განაწილება კონტინენტზე, დაგვეხმარა ახალგაზრდა მოთამაშეთა და ახალი ტაქტიკური ვარიანტების შემოწმებაში, — მიპასუხა გომელსკიმ. — კარგად მომზადებული აღმოჩნდნენ იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და ბულგარეთის გუნდები. თუ მათ რიცხვს ამერიკელებსა და ბრაზილიელებსაც დავუმატებდით, კონტინენტის პირველობა უკვე მსოფლიო ჩემპიონატად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა. ამასთან, ამ ქვეყნების მოთამაშეთა ტექნიკა და ძლიერება აშკარად სჯობს სამხრეთამერიკელებისას. ტაქტიკური აზროვნებით ისინი არ ჩამოუვარდებიან აშშ-ს კალათბურთელებს.

მე ვამაყობ ჩემი ბიჭებით, რომლებიც ასეთ საპასუხისმგებლო, დაძაბულ შეჯიბრებაში ასე კარგად თამაშობდნენ და ნამდვილი მებრძოლების თვისებები გამოიჩინეს.

შემოდგომის მიწურულს სსრ კავშირის გუნდმა შეიძლება ტრადიციული ტურნე მოაწყოს სამხრეთ ამერიკაში. შემდეგ ნაკრების წევრები თავიანთ კლუბებს დაუბრუნდებიან, რათა დეკემბერში საკავშირო ჩემპიონატში ითამაშონ.

გომელსკის ბოლო შეკითხვას ვაძლევ: როგორ თამაშობდნენ ნაკრების შემადგენლობაში საქართველოს კალათბურთელები ზურაბ საკანდელიძე და სერგეი კოვალენკო?

— ბიჭებით კმაყოფილი ვარ. ზურაბი უმეტესად სასტარტო ხუთეულში გამოდიოდა და მონდომებით თამაშობდა. მაგრამ მან ჯერ კიდევ უნდა იმუშაოს ტყორცნის სიზუსტის მისაღწევად. სერგეი კარგად თამაშობს ცენტრში და ღირსეულად უჭირავს ადგილი ნაკრებში.

... როცა თვითმფრინავი მოსკოვის აეროდრომზე დაეშვა, ტრაპზე თასით ხელში პირველი ჩავიდა გუნდის კაპიტანი მოდესტას პაულაუსკასი. მას მიჰყვა ევროპის კიდევ თერთმეტი ჩემპიონი. ახლა ბიჭებს ელით მუშაობა, ელით სწავლა, ელით ახალი შეჯიბრებები.



ასე დაიწყო ევროპის პირველობის ფინალური მატჩი კალათბურთში: სსრ კავშირი — იუგოსლავია. მომენტი, რომელიც საწყის გდებას ასახავს, ერთი შეხედვით თითქოს არაფრის მთქმელია. ორივე გუნდი მოედნის ცენტრშია განლაგებული. მოთამაშეთა მთელი ყურადღება მიმართულია ბურთისა და ჰაერში ზეაღმართული მეტოქეებისკენ. მაგრამ ამ პოზიციას ერთი საინტერესო შტრიხი აქვს, რომელსაც ჩვენი ნაკრები სისტემატურად მიმართავს. დააკვირდით მარცხენა კუთხეში სტარტზე მდგარ კალათბურთელს. იგი ძირითად ჯგუფს ოდნავ მოშორებულია და თითქოს მონაწილეობას არც იღებს ბურთისთვის უშუალო ბრძოლაში. ეს კალათბურთელია ზ. საკანდელიძე — სსრ კავშირის ნაკრების ყველაზე რეაქტიული თავდამსხმელი. მართალია, სურათი ჯერ მხოლოდ ბურთისთვის ბრძოლის მომენტს ასახავს, მაგრამ მოვლენათა შემდგომი მსვლელობა ადვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ, ვინაიდან საბჭოთა ნაკრები ამ ტაქტიკურ ხერხს ხშირად მართავს.

მაშ ასე, ანდრეევი უთუოდ აჯობებს თავის იუგოსლაველ მეტოქეს და ბურთს ფრენბურთელის მსგავსად გაგზავნის წინ, იუგოსლაველთა ფარისკენ. საკანდელიძე სწორედ ამ მომენტს ელის, რათა გახსნას შეხვედრის ანგარიში.

SSSR
bianchería
stoviglie

შუა სურათზე ხედავთ სსრ კავშირის ნაკრების „თბილისურ ვარიანტს“. იატაკზე ზის ორიოდე წუთის წინ თამაშიდან გასული საკანდელიძე. მის გვერდითაა მ. ქორქია, რომელიც ნეაპოლში დაგვიანებით იყო გამოძახებული, მაგრამ არასაფრენი ამინდის გამო ჩემპიონატის დაწყებას ვერ ჩაუსწრო. ქორქიას გვერდითაა მესამე თბილისელი — ს. კოვალენკო.

ქვედა სურათზე ხედავთ ჩემპიონატზე მყოფ სპეციალისტთა ჯგუფის წევრებს, თბილისის „დინამოს“ მწვრთნელს ლ. ინწკირველსა და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს ვ. ჯაფარიძეს. ისინი ინტერესით ათვალიერებენ კუნძულ კაპრის ღირსშესანიშნაობებს.

ფოტო ჰ. ხაჩკოვანიანისა.

სპორტული ლაგოდეხი

ფალავნებმა იასპარეზეს

სოფელ ლელიანში გაიმართა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი შეჯიბრება: „კოლმეურნის“ ლაგოდეხის რაიონული საბჭოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში. ხარბიელზე გამოვიდა 70 ფალავანი. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ზ. ჯუსოევი, ზ. ფერაძე, თ. ლალიევი, მ. ხასიევი, მ. კუპატაძე, ა. მიქაუტაძე, დ. მაჭარაშვილი და ე. ბრეგვაძე.

თასი — აფენელებს

ერთ თვეზე მეტხანს გრძელდებოდა ლაგოდეხის რაიონული გაზეთის „გამარჯვების დროშის“ თასის გათამაშება ფეხბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 10 გუნდი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თასის ორგზის მფლობელი — ვარდისუბნის გუნდი და აფენის კოლმეურნეობის ფეხბურთელები. აფენის სპორტსმენთა უპირატესობა აშკარა იყო — 3:0.

სომეხი სტუმრები

დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ ლაგოდეხისა და სომხეთის ქ. დილიჟანის მექანიკური ქარხნის სპორტსმენებს. ამას წინათ დილიჟნელები ლაგოდეხელებს ესტუმრნენ და შეხვდნენ ადგილობრივ ფეხბურთელთა გუნდს. შეხვედრა მასპინძლებმა მოიგეს — 4:0.

მ. ხერგიანის სახელი უწოდეს

ამ დღეებში ლაგოდეხის ტურისტულმა კლუბმა მოაწყო ოთხდღიანი ლაშქრობა, რომელშიც 50 ახალგაზრდა სპორტსმენი მონაწილეობდა. მათ დალაშქრეს კავკასიონის რამდენიმე უსახელო მწვერვალი. ერთ-ერთ მწვერვალს, რომლის სიმაღლე 2500 მეტრს აღწევს, ლაშქრობის მონაწილეებმა გამოჩენილი ქართველი მთამსვლელის მიხეილ ხერგიანის სახელი უწოდეს.

ფ. კვირიკაშვილი.

(ჩვენი კორ.).

● **ტრანოსი, 24 ოქტომბერი.** შვეციის სამხრეთში მდებარე ამ პატარა ქალაქში გაიმართა მაგიდის ჩოგბურთში ევროპული ლიგის მორიგი ჩემპიონატის პირველი მატჩი. ამ შეჯიბრების სტარტზე (ტურნირი დამთავრდება გაისად გაზაფხულზე) შვეციის გუნდმა ანგარიშით 6:1 დაამარცხა საფრანგეთის ნაკრები. მატჩის სენსაცია იყო ევროპის ჩემპიონის ჩ. იუჰანსონის (შვეცია) წაგება ფრანგ ჟ. სეკრეტინთან — 0:2. ევროპული ლიგის წინა ორ ჩემპიონატში სსრ კავშირის ნაკრებმა გაიმარჯვა.

● **სტოკჰოლმი, 24 ოქტომბერი.** შვედმა ბადროს მტყორცნელმა რ. ბრუხმა, რომელმაც ათენის ევროპულ ჩემპიონატში ვერცხლის მედალი მოიპოვა, კვლავ დაამტკიცა თავისი მაღალი ოსტატობა: აქ გამართულ შეჯიბრებაში 64,69 მეტრზე ტყორცნა ბადრო. აღსანიშნავია, რომ 6 ცდიდან ბრუხმა ეს იარაღი ოთხჯერ გადააცილა 62 მეტრს.

● **დიუსელდორფი, 24 ოქტომბერი.** აქ მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს გფრ-ისა და ფინეთის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდები. სტუმრებმა ამასწინანდელი მარცხის რევანში აიღეს, ანგარიშით 6:3 დაამარცხეს გერმანელები.

● **ჟეშუვი, 24 ოქტომბერი.** სსრ კავშირის სპიდვეისტთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა პოლონეთის ამ ქალაქში ანგარიშით 45:32 აჯობა ცნობილ საკლუბო გუნდს „სტალს“. სტუმრებს ყველაზე მეტი ქულა (12) შესძინა ევროპის ჩემპიონმა, თბილისელმა ვ. კლიმენტიევმა.

● **ერფურტი, 24 ოქტომბერი.** აქ მეთორმეტედ აიღო სტარტი ავტორალიმ, რომელსაც „ვარტბურგი“ ჰქვია. მასპინძლებთან — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მრბოლელებთან ერთად რალიში მონაწილეობენ სსრ კავშირის, პოლონეთისა და დანიის ავტომობილისტები. სპორტსმენებს გდრ-ის გზებზე გასავლელი აქვთ 1516 კმ. ისინი თხუთმეტჯერ შეეჯიბრებიან ერთმანეთს სისწრაფეში.

[illegible]

[illegible]

ახმეტა

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ჩატარდა პანკისის საბჭოთა მეურნეობის სპარტაკიადა. გარდამავალი თასი შარშანდელ სპარტაკიადაში გამარჯვებულებმა — ღუისის განყოფილების სპორტსმენებმა მოიპოვეს. II ადგილზე გავიდნენ ღუისის საშუალო სკოლის. III — საკობიანოს განყოფილების ფიზკულტურელები.

შ. ნათელაური.

△ **ლიბერეცი** (ჩეხოსლოვაკია). აქ გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება ხელოვნურსაფარიანი ტრამპლინიდან ხტომაში. ყველას აჯობა მასპინძელმა მატოუშმა — 212,8 ქულა. II ადგილზეა სტეფანჩიჩი (იუგოსლავია) — 206.8.

△ **კიტო** (სალვადორი). აქ გაიმართა სამხრეთ ამერიკის ქვეყნების მძლეოსანთა ტურნირი. აღსანიშნავია საერთაშორისო კლასის ორი შედეგი: სამხტომში მეხიკოს ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა, ბრაზილიელმა პრუდენსიომ 16,34 მ აჩვენა, ხოლო 100 მ 10,2 წამში გაირბინა ასევედომ (პერუ).

△ **ბარსელონა**. ცურვის ევროპული ლიგის მორიგ სხდომაზე გადაწყვიტეს, რომ კონტინენტის ვაჟთა და ქალთა ჩემპიონატები გაისად, 5-12 ოქტომბერს გაიმართონ ბარსელონაში. წყალბურთელები და წყალში მხტომელები ოქროს მედლებისთვის ლონდონში იასპარეზებენ.

△ **პარიზი. ეიფელის კოშკის პირველი სართულიდან დედამიწამდე სამთომოთხილამურეებისთვის მოეწყობა ხელოვნური ტრასა, რომლის სიმაღლეთა სხვაობა 100 მ იქნება.**

△ **ჟენევა**. როგორც ცნობილია, 1971 წელს გაიმართება მოცურავეთა I მსოფლიო ჩემპიონატი. შეჯიბრების მასპინძლობა სურთ მეხიკოს, ჟენევასა და რიო-დე-ჟანეიროს.

△ **ვენა**. ავსტრიის კურორტ იგლსში გაიმართა სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის სხდომა, რომელმაც შარშანდელი შედეგები შეაჯამა და განიხილა სპორტის ამ სახეობის განვითარების პერსპექტივები. აღინიშნა, რომ ამჟამად მსოფლიოში თხილამურებით ვარჯიშობს 45 მილიონი კაცი. ეს სახეობა ყველაზე პოპულარულია ავსტრიაში (ვარჯიშობს 1.200 ათასი ადამიანი). მარტო ინსბრუკში, სადაც 113 ათასი მცხოვრებია, თხილამურებით დადის 50000 კაცი, ხოლო ოსლოს 405 ათასი მცხოვრებიდან — 50 პროცენტზე მეტი. სხდომამ დასახა ღონისძიება, რომ 2 წლის მანძილზე მოთხილამურეთა რიცხვი მსოფლიოში 100 მილიონამდე გაიზარდოს.

△ **ულან-ბატორი**. მონღოლეთისა და იაპონიის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საერთაშორისო შეხვედრაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 5,5:1,5. განმეორებითი მატჩიც მონღოლებმა მოიგეს — 5:2.

△ **ჰელსინკი**. 78 წლის ასაკში გარდაიცვალა სტოკჰოლმის 1912 წლის ოლიმპიადის ჩემპიონი შუბის ტყორცნაში, ჰელსინკელი ი. საარისტო.

△ **ნიუ-იორკი**. ქვესაშუალო წონის პროფესიონალი მოკრივეების ჟ. ნაპოლისა და ე. გრიფიტის ორთაბრძოლაში მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის ქულებით გაიმარჯვა ნაპოლიმ.

△ **პარიზი**. მოყვარულ-ველოსიპედისტთა შეჯიბრებაში „ერების თასზე“ 75 კმ-ზე რბოლა მოიგო დ. მერტოგმა (ჰოლანდია) — 1:44.28. პროფესიონალები 100 კილომეტრზე იბრძოდნენ. ყველას აჯობა ჰ. ხპრინგელმა (ბელგია) — 2:19.16.8.

△ **ვარნა**. ბულგარეთისა და გდრ-ის ძალოსანთა მატჩში მ. მუსტაფოვმა და ა. შოპოვმა ბულგარეთის 3 რეკორდი დაამყარეს: მუსტაფოვმა (52 კგ-მდე) 113 კგ აჰკრა, შოპოვმა (82,5 კგ) 170,5 კგ აიტაცა, სამჭიდში კი 437,5 კგ აჩვენა.

მხოლოდ ნონა და ვერა

„ლელოს“ ინტერვიუ

დარბაისლური საუბარი იცის ვალენტინა ბორისენკომ და მოსაყოლიც ბევრი აქვს. საინტერესოა მისი სპორტული კარიერა: სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონი, მსოფლიო პირველობაზე 1949-50 წლების ტურნირის პრიზიორი, პრეტენდენტთა სამი შეჯიბრების მონაწილე, საერთაშორისო ოსტატი.

ბორისენკოს მეუღლე გიორგი საერთაშორისო ოსტატი და მიწერ-მოწერით თამაშში საერთაშორისო დიდოსტატია. გორში ცოლ-ქმარი ერთად ჩამოვიდა.

— ჭადრაკი რვა წლისამ ვისწავლე პიონერთა ბანაკში, — გვიამბობს ვალენტინა. — იქ გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლეც. ჭადრაკმა დაგვამეგობრა. ერთად ვეწრებოდით ლენინგრადის 1934 წლის საერთაშორისო ტურნირს.

ჩემი წარმატებები სისტემატური მეცადინეობის შედეგია. როგორც თავის დროზე წერდა მსოფლიო ჩემპიონი ლასკერი, დღეში 40 წუთს მაინც ვვარჯიშობ. რა თქმა უნდა, ტურნირისთვის მზადებისას მუშაობას მეტ დროს ვანდომებ.

გაინტერესებთ თამაშობს თუ არა ჩემი ვაჟი? ვასია ახლა 15 წლისაა. მშობლებმა გადავწყვიტეთ არ გვესწავლებინა მისთვის ჭადრაკი: ერთ ოჯახში ორი მოჭადრაკეც საკმარისია! მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ერთ დღეს ვასიამ მოგებული პარტია დამიწუნა. მივხვდი, ჩუმად უსწავლია თამაში.

რატომ გგონიათ, რომ მაინცდამაინც ქალთა ჭადრაკში მოპოვებული წარმატებები მეამაყება? სრულიადაც არა. ჩემი აზრით, უფრო სასახელოა იმარჯვო ვაჟებთან პაექრობაში. ეს არ არის ადვილი. ქალებიდან ამ მხრივ მხოლოდ ვერა მენჩიკი და ნონა გაფრინდაშვილი გამოირჩევიან. სწორედ ამიტომ მანიჭებს სიამოვნებას ვაჟებთან კარგად თამაში.

საქართველოში ტრადიციად იქცა ვაჟთა ტურნირებში ქალების მონაწილეობა. ეს სხვებმაც უნდა გადაიღონ.

ჩემს ხანგრძლივ საჭადრაკო პრაქტიკაში ბევრი საინტერესო შემთხვევა მქონია. ერთს გიამბობთ: პრეტენდენტთა 1952 წლის ტურნირში ლიდერთა რიცხვში ვიყავი, როცა ბიკოვას შევხვდი. მოსაგები პოზიცია მივიღე. საჭირო იყო ბუნებრივი თამაში, მე კი მომხიბლა ლამაზმა კომბინაციამ ორი ფიგურის შეწირვით, რომელიც შამათით მთავრდებოდა. როცა ეს კომბინაცია განვახორციელე და დამამამათებელი სვლა უნდა გამეკეთებინა, გამოირკვა, რომ ფიგურა დაბმული იყო. ძალიან შევწუხდი. ამ დროს დარბაზში... განგაშის სირენის ხმა გაისმა. ხალხი აზმაურდა. თურმე ჩემი მეუღლის ლოჟაში ამ სირენის ღილაკი ყოფილა და გიორგი უნებლიეთ მიყრდნობია მას. სიცილი ამიტყდა, თუმცა ტირილი მინდოდა.

ჭადრაკში კომბინაცია მიტაცებს. იგი უდიდეს კმაყოფილებას მანიჭებს. სხვათა შორის, ბევრს ვფიქრობ: როგორ მიაგნებს ჭადრაკის მოთამაშე მანქანა კომბინაციას? ჩემი აზრით, საჭიროა ტიპიური კომბინაციების მოდულირება და ამ ცოდნით მანქანის აღჭურვა, თუმცა ეს ადვილი არ იქნება.

ქალთა ჭადრაკს დიდი ხნის ისტორია არა აქვს. ამიტომ შეუძლებლად მიმაჩნია, როგორც იტყვიან, ყველა დროის ხუთი უძლიერესი მოჭადრაკის დასახელება. ჩემი აზრით, ასეთი მოჭადრაკე მხოლოდ ორია: ნონა გაფრინდაშვილი და ვერა მენჩიკი. მე ნონას შეგნებულად ვაყენებ წინ. მან მეტი გააკეთა ქალთა ჭადრაკისთვის და, რაც მთავარია, უფრო მეტს გააკეთებს.

შედარებით ადვილია ხუთი თანამედროვე საუკეთესო მოჭადრაკის დასახელება: გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, ნატაშა კონოპლიოვა, ტატიანა ზატულოვსკაია და მაია რანიკე. შეგნებულად არ ვასახელებ უცხოელ მოჭადრაკეებს. ისინი უკეთ არ თამაშობენ. არც ალა კუშნირი მიმაჩნია ამ ხუთეულზე ძლიერად.

საუბრის დასასრულს ვ. ბორისენკოს ვთხოვეთ აზრი გამოეთქვა ჩემპიონატის მოსალოდნელ შედეგებზე. მან თქვა:

— პირველ სამეულში იქნებიან ალექსანდრია, რუბცოვა და კონოპლიოვა. საკუთარ თავზე ასე ვიტყვი: ის რა ჯარისკაცია, ვინც გენერლობაზე არ ფიქრობს.

თ. გიორგაძე.

პირველი მარცხი

გორი. 23 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატში გაიმართა X ტური.

პირველად დამარცხდა სსრ კავშირის ჩემპიონი ნ. ალექსანდრია, რომელმაც წააგო ბაქოელ ტ. ზატულოვსკაიასთან. ნანას კარგი პოზიცია ჰქონდა, მაგრამ ცაიტნოტში მყოფ მეტოქეს აჰყვა და სიჩქარეში უხეშად შეცდა.

ნ. კონოპლიოვამ (მოსკოვი) დაამარცხა ლ. სემიონოვა (ხმელნიცკი), ო. კაცკოვამ (მოსკოვი) — ბ. ვილერტე (რიგა), ვ. ბორისენკომ (ტაშკენტი) — ლენინგრადის ჩემპიონი ლ. კრისტოლი.

ე. რუბცოვა — ო. იგნატიევას (ორივე — მოსკოვი), მ. რანიკე (ტალინი) — ო. პედკოს (სოჭი), თ. ხუგაშვილ — თ. გოლოვეის (მინსკი), ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი) — მ. შულის (ლვოვი), ა. მუსლიმოვა (ალმა-ათა) — ლ. შადურას (კურსკი), ა. ზვორიკინა (მინსკი) — ო. ანდრეევას (ხარკოვი) შეხვედრები გადაიდო.

ახლა ტურნირის ერთადერთი დაუმარცხებელი მონაწილე კონოპლიოვაა.

10 ტურის შემდეგ კვლავ ლიდერობს ალექსანდრია — 8,5 ქულა. 8 ქულით II ადგილზე გადაინაცვლა კონოპლიოვამ. რუბცოვას 7,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს. 7-7 ქულით მომდევნო ადგილებზე არიან ბორისენკო და ზატულოვსკაია.

ჯერჯერობით ხუთნი არიან

სან-ხუანი, 24 ოქტომბერი. ამას წინათ ფიდე-ს აქ გამართული კონგრესისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში ერთბაშად ხუთი მოჭადრაკე — ოთხი დიდოსტატი და ერთი საერთაშორისო ოსტატი ლიდერობენ. ესენი არიან: მსოფლიო ჩემპიონი ბ. სპასკი, ა. ბისჰაიერი (აშშ), ბ. პარმა (იუგოსლავია), ბ. ლარსენი (დანია) და უ. ბრაუნი (ავსტრალია). 10 ტურის შემდეგ მათ 7-7 ქულა აქვთ.

ტურნირის დამთავრებამდე 5 ტური დარჩა.

ერთი ქულაც ჰყოფნის

მოსკოვი, 24 ოქტომბერი. ასუჯრიან შაშში მსოფლიო პირველობაზე დიდოსტატების ა. ანდრეიკოსა და ი. კუპერმანის XV პარტია 53-ე სვლაზე ანდრეიკოს გამარჯვებით დამთავრდა.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 9:6 ანდრეიკოს სასარგებლოდ. ახლა დარჩენილ ხუთ პარტიაში მსოფლიო ჩემპიონ ანდრეიკოს ერთი ქულაც ჰყოფნის, რათა ეს მაღალი წოდება შეინარჩუნოს.

უკვე ემზადებიან

მიუნჰენის 1972 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანილია სლალომი ბაიდარებითა და კანოებით. უნგრელმა სპორტსმენებმა უკვე დაიწყეს ამ ასპარეზობისთვის მზადება.

სურათზე: მებაიდარე სლალომისტთა ვარჯიში დუნაიზე.

ფოტო მტი-საკდეხისა.

კლეის ნება დართეს

ფილადელფია. ცნობილმა პროფესიონალმა მოკრივემ კასიუს კლეიმ აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ მისისიპის შტატში მას ნება დართეს კვლავ გამოვიდეს რინგზე. პირველ ბრძოლას კლეი 15 დეკემბერს გამართავს, ჯერჯერობით კი მისი მეტოქე უნდა შეარჩიონ.

გარდაიცვალა სონია ჰენი

ოსლო. პარიზიდან ოსლოში გაფრენის დროს 57 წლის ასაკში გარდაიცვალა ფიგურული ციგურაობის ბრწყინვალე ოსტატი და კინომსახიობი, ნორვეგიელი სონია ჰენი. ჰენი ჯერ კიდევ 15 წლისა გახდა მსოფლიო ჩემპიონი, ხოლო ერთი წლის შემდეგ ოლიმპიური ჩემპიონობაც მოიპოვა. შემდეგში ჰენი კიდევ ბევრჯერ იყო მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. 1937 წლიდან იგი ამერიკულ რევიუში გამოდიოდა და, ამავე დროს, ჰოლივუდის კინომსახიობი გახდა (ალბათ, გახსოვთ „მზიური ველის სერენადა“).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.



საქართველოს სპორტკავშირის ზამთრის საცურაო აუზში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49-ბ) 1 ნოემბრიდან მუშაობას განაახლებს **სპორტული და ფასიანი საბონემენტო გამაჯანსაღებელი ჯგუფები ცურვაში**.

აბონემენტები იყიდება ყოველდღე, 9 საათიდან 12 საათამდე და 14-დან 17 საათამდე.

აბონემენტების შესაძენად საჭიროა წარმოადგინოთ ჯანმრთელობის ცნობა უბნის პოლიკლინიკიდან.

დირექციის ტელეფონია 22-61-00.

თბილისის „ლოკომოტივის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი თანაუგრძნობს თავის წევრ ვ. პანოვს დედის მართანუშ ტიგრანის ასულ გალფიანის გარდაცვალების გამო.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 1 უუ 04374